

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №47
2017 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემებში ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და „სასმელი წყლის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 26 დეკემბრის №45 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაადგინა:

მუხლი 1

1. სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემებში ნორმატიული დანაკარგის ოდენობად წყალმომარაგების ლიცენზიატების მიხედვით განისაზღვროს:

ა) შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“:

ა.ა) 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში – 365 327 462.78 (მ³);

ა.ბ) 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში – 314 658 796.96 (მ³);

ა.გ) 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში – 270 281 363.18 (მ³);

ბ) შპს „რუსთავის წყალი“:

ბ.ა) 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში – 24 411 958.85 (მ³);

ბ.ბ) 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში – 21 929 975.89 (მ³);

ბ.გ) 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში – 19 587 942.94 (მ³);

გ) შპს „მცხეთის წყალი“:

გ.ა) 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში – 1 879 256.90 (მ³);

გ.ბ) 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში – 1 785 283.46 (მ³);

გ.გ) 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში – 1 696 908.52 (მ³);

2. წყალმომარაგების სხვა ლიცენზიატებს სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემაში ნორმატიული დანაკარგის ოდენობა განესაზღვროთ ეტაპობრივად – შესაბამისი სატარიფო წარმოების ფარგლებში.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის თავმჯდომარე
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

ირინა მილორავა

მაია მელიქიძე

გიორგი ფანგანი



